ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N30

2021 წლის 28 აპრილი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით,იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩა N28-ის მიმდებარედ 6906,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.06.956) 200.0 კვ.მ მიწის ნაკვეთი ავტოსამრეცხაოს მოწყობის მიზნით ფ/პ „მანუჩარ ხარაზს“ წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად შემდეგი პირობებით: დახურული ტიპის ლოკალური ჭის მოწყობა, საღამოს 21:00 საათიდან დილის 9-00 საათამდე სამუშაო დროის შეზღუდვის დაწესება (ავტომატიზირებული სამრეცხაო) და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მაქსიმალური დაცვით;

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩა N28-ის მიმდებარედ 6906,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.06.956) 200.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

730700
 სიტუაციური ნახაზი
ქობულეთი 9 აპრილის ქუჩა№28
ხარაზი მანუჩარ
N
1:500
204205095
204205181
204205057
200 კვ.მ
204206990
განთავსებული ავტო სამრეცხაო 164კვ.მ
204206956
204206397
4633900
204205186
204205108
204206631
204206633
204206632
204206748
204206749
204206749
204206730
204206328
204205310
204205310
204205013
204205207
730700